

დღეობა

572
1948/2

„აყვავილი, ტურფა ქვეყანავ,
იღბინე, ქართველი მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავდიოთა
სამშობლო გაახარეო“
გ. ბერიძე

მოგილოცავთ ახალ წელს,
გავმუშებო!

1948



ლილა

№ 1

იანვარი
1948

„აყვადი, ტურფა“ ქვეყნავე,
იღბინე, ქართველ მსარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო“.

საბავშვო ჟურნალი მწერელთა კავშირის
კომიტეტის შრომათაგანია

მ ო გ ი ლ ო ც ა ვ თ...

7054

ახალი წლის მობრძანება მომილოცავს, მეგობრებო. რა დიადი წელი დგება, ნანატრი და საოცნებო!

ხედავთ, კარზე მოგდგომია, უტურფესი განთიადი. გამარჯვებას მოგილოცავთ, მოდის ახალწელიწადი!

მივულოცოთ მას, პირველად ვინც წინ გვიძღვის ხალხებს მარად. ვინაც ჩვენი ქვეყნის გული საშუღამოდ გაახარა.

მას შევძახოთ, მას ვუსურვოთ, ვისი მზე და სითბოც გემოსავს: — ტბილი ახალწელიწადი დიდო სტაინ, მოგვილოცავს!

მივულოცოთ ქვეყნის ღაშქარს, ვინც სამშობლოს საზღვრებს იცავს, ვინც არასდროს მტერს არ მისცემს საბჭოეთის მტკაველ მიწას.

საქართველოს აშენებელს ეს მილოცვა გულითადად: — მოგვილოცავს, მოგვილოცავს ტბილი ახალწელიწადი!

მივულოცოთ ვინც აშენებს, ხარაჩოებს ცამდე მართავს, ვინც მშრომელი ხალხის ნდობა, ალალ შრომით გაამართლა.

ვინაც უხვი მოსავლი, მოიმყო და მოიყვანა. ვინც, როგორც შეიღს მოუარა კოლექტივის გაშლილ ყანას.

ტბილი ახალწელიწადი მივულოცოთ ყველა მშობელს. ვუთხრათ რომ არ დავფიქვებთ მათ დიდ ამაგს, არასოდეს!

მივულოცოთ ვინც სკოლაში თავს გვევლება ჩვენ, პატარებს, ვინც ყოველწუთს ჩვენს სიყვარულს ალალ გულით დაატარებს.

აგისრულდეთ ყველას, ყველას რაც გაქვთ კეთილგანზრახული, სწავლა, შრომა, მეგობრობა გულში წმინდათ დანახული.

აუსრულდეს ვინც ბეჯითობს მშრომელ ქვეყნის სასახელოდ, მარტო სკოლა კი არა და ასახელოს საქართველო.

მივულოცოთ ვინც ღირსია, ისრულდებდეს გულის წადლი. ვინც კარგია გაახარებს ტბილი ახალწელიწადი.

მეც ამ სიტყვებს საახალწლოდ მეგობრებო თქვენთვის ვწერდი. — ბევრ ახალწელს დაესწართ, ასე ტბილად დამიბერდით...

რედაქციის მდიანი



ბ. ბ. სტალინი

სტალინური პრემიის ლაურეატის უჩა ჯაფარიძის ნახატი

ს ა ბ ჭ ო თ ა უ კ რ ა ი ნ ა

ბავშვებო! თქვენ იცით რომ ჩვენი დიდი საბჭოთა ქვეყანა 16 მოძმე რესპუბლიკისაგან შეესდგება. ამ ბედნიერ თანაჯარსკელაყედში ერთი მოქანა-
30 ადგილი უჭირავს უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. ახ-
ლა იქ, მოძმე უკრაინაში დიდი დღესასწაულია. მშრომელი ხალხი ზეიმობს
საბჭოთა უკრაინის 30 წლისთავს.

30 წელია, რაც უკრაინელმა ხალხმა მოიპოვა თავისუფლება და ბედნი-
ერება. მრავალი საუკუნის მანძილზე მეფის თეთმპყრობელობისა და სხვა
მჩაგვრელით უღელქვეშ გმზავდა თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალ-
ხი. 30 წლის წინათ უკრაინის მშრომელმა ხალხმა დიდი ბოლშევიკური ბარ-
ტიისა და მათი ბელადების ლენინისა და სტალინის ბელმძღვანელობით შექ-
მნეს ახალი თავისუფალი ქვეყანა — უკრაინის საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკა. ამ დღიდან დაწყო ახალი, ბედნიერი ცხოვრება და უკრაი-
ნელმა ხალხმა დაუღალავი შრომით თავისი სამშობლო უძლეულ ქვეყა-
ნად გადაქცია.

ამჟინდა უთვალავი ქარხანა და ფაბრიკა, კადეე უფრო ხევიანი და მოსავ-
ლიანი განხა უკრაინის მიწა. თვალუწეოდნელ ველებზე გაჩნდნენ ტრაქტო-
რები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. გაშენდა მრავალი ახალი ქალა-
ქი და სოფელი. უკრაინელი ბავშვებისათვის გაიხსნა ათასობით სკოლა, სა-
ბავშვო ბაღი და ბავა. ამ სკოლებში სწავლობენ ახლა ბედნიერი ბავშვები.

დიდი სამამული ომის დროს გერმანელმა დამპყრობლებმა დასწყეს და
გაანადგურეს უკრაინის ქალაქები და სოფლები. უკრაინელი ბავშვები უსამ-
ლაკაროდ დატოვეს. მათი მშობლები ჩამოახრჩეს და დახვრიტეს. მაგრამ
გმირულმა საბჭოთა არმიამ უკრაინიდან განდევნა მტერი და უკრაინელმა
ხალხმა ყვლავ დაწყო ახალი ცხოვრება, თავის სამშობლოს აღდგენა. ახლა
ეს ქვეყანა იშლებს ომისაგან მიყენებულ კრილობებს. გმირული შრომით
სტეფან იგი ბედნიერ და საამურ ცხოვრებას. უკრაინელი ბავშვები მხარში
უღვანან უფროსებს და საუკეთესო სწავლითა და შრომით ემსარებაინ.

უკრაინელი ხალხი ზეიმობს. ყველა ქალაქსა და სოფელში ახლა უჩვე-
ული სიხარულია.

ჩ ვ ე ნ ი ს კ ო ღ ა

ბგერ, ბქეე, განხაირას,
რომ განსდებით დიდ რუსთაველს,
უღამაზეს სკოლას ნახავთ
და მის განთქმულ სისუფთავეს.

მესავალი კრიაღას,
არსად ზადი, არსად მტვერი,
ველაფერი წესრიგსეა,
გაუცილებით, ველაფერი!

რა კაქკაწა დგამები ვაქქს,
და ვსო კი—ნურეთი სავსე...
თუ გვეწვევით, ნატარებო,
ველას სულში მოვითავსებთ.

ახალწლისთვის ვუმსადებით,
შევირცხვინეთ ვახა თავი?
ჩვენი სკოლა შევიბრძია
სწავლითა და სისუფთავით.

ნ. გომიკაშვილი



ლენინი ბავშვობაში

გარჯაც უყვარდა, გართობაც,
 ის ყველაფრისთვის იცდიდა,
 ბუნების ენას სწავლობდა
 ბუნების დიდი წიგნიდან.

ბეჭითი, დაკვირვებული,
 ნიჭით, ზრდილობით ქებული,
 საყვარელ წიგნის ფურცლებზე
 მუდამ თვალგანათებული

სწავლობდა, სწავლის სურვილი
 შუქივით გულზე ეფინა,
 რომ შემდეგ ჩაგრულ ხალხისთვის
 ბრძოლის გზა ესწავლებინა.

დღეს, როცა, ჩვენი მერცხლებო,
 ვარჯ-ყვავილების ღიმილში,
 დიდის შზის მობრძანებაში
 თვალწინ ცოცხდება ილიჩი,

იყავით ისე კარგები,
 რომ ძია ილიჩს გადართო,
 რომ ღვინეღთა სახელი
 თქვენც ღირსიულად ატაროთ.

იოსებ ნონაშვილი



ახალი წლის დღით



მასწავლებლის შვილი — მეორე კლასის მოწაფე თენგიზი ახალი წლის დღითაც ადრე წამოხტა, ტანთ მარჯვდ ჩაიკცა, ლოგინი ალაგა, ხელ-პირი დაიბანა. პირის შეწმენდისას გაასხნდა გონებაში ჩარჩენილი წუხელ წაქითხული თავის ამბავი, რომელმაც დაბმულ ლოშის თოკი გადაუღრღნა და გაანთავისუფლა: ლომმა თავის სიცოცხლე აიწუა.

თავგება ლომს გაქირვებაში უშველა, რა კარგია გაქირვებულის შეგლა! — ფიქრობდა თენგიზი, როდესაც დედამ მეორე ოთახში გაიხმო. იქ მაგიდაზე საამურად ელაგა: გოზინაყი, ნამცხვარი, ყურძენი, ჩურჩხელები და წითლად დაბრაწული ნაქრები ქათმისა. თენგიზმა სიხარულით ტაში შემოკრა, მაგრამ საუზმეს უცებ არ მივიარდა, დედას ხელები შემოჰხვია და შეეხვეწა:

— დედა, შემისრულებ რასაც გთხოვ? — ზაუტაანთ მშვენოს დავაპტივებ გოზინაყზე, ხომ იცი, დედა ავად მყავს.

დედამ შვილს შუბლზე აკოცა და უთხრა:

— წადი, გენაცვალე, მოიყვანე მშვენო.

რამდენიმე წუთის შემდეგ თენგიზი და მშვენო ოთახში შევიდნენ.

მშვენოს ნალვლიანი სახე ჰქონდა. თენგიზის დედამ ანუგეშა:

— ნუ იღარდებ, შვილო, დედა მალე მორჩება და გაგახარებს.

— პატარეცმულო მასწავლებელო, დედა მორჩება... მაგრამ... მამამ... ომში წასვლის წინ დამიბარა: სწავლას არ უღალატოო. მე კი ორიანი მყავს რუსულ ენაში... დანაბარებს ვერ ვუსრულებ მამას: — ამის თქმაზე მშვენოს თვალებიდან ცრემლები მარგალიტის მძივებად დაეშვენნ მის ლოყებზე.

თენგიზი დაღონებული შეკჷურებდა მშვენოს: უცებ სახე გაუბრაწინდა და დედას მიმართა:

— გაქირვებულის დახმარება ხომ კარგია, დედიკო? გეხეწები; მე და მშვენოს დავგეხმარე რუსული ენის სწავლაში.

დედა შეჰპირდა ბავშვებს, რომ ყოველ დღე იმეცადინებდა მათთან.

მშვენოს გული იმედის ნაბერწკალმა გაანათა — მეორე მეოთხედის სუსტ ნიშანს გამოეასწორებო.

— აბა, შვილო, მიიწვიე ახლა მშვენო სუფრასთან, — უთხრა დედამ თენგიზს.

ბავშვები ტკბილ მაგიდას მიუსხდნენ. თენგიზი ყველა საქმელს ჯერ მშვენოს სთავაზობდა, მერე თითონ შეეცქეოდა, თან მასლათობდნენ: როგორ უნდა გაენაწილებინათ ახალი წლიდან დრო სწავლისთვის, დასვენებისთვის და ოჯახური საქმეებისთვის.

ამ ლაპარაკის დროს ოთახში შევიდა თენგიზის პაპა, ძველი მასწავლებელი, ლამაზი, მშვიდი სახის კაცი. ბავშვები ფეხზე წამოდგნენ, პაპამ მიმართა ბავშვებს:

— გილოცავთ, ბავშვებო, ახალ წელიწადს, ვხედავ თქვენს თვალებს და მინდა, რომ მათ ქვეყანაზე ავ-კარგი გააჩირო; შევეურებ თქვენს ხელებს და მონატრული ვარ — დაუღალავად მუშაობდნენ მშობლების გასახარებლად, სამშობლოს საკეთილდღეოდ. — ამ სიტყვებთან ერთად პაპამ ჯიბიდან ოთხი ფოჩიანი კამფეტო აპოილა და თითოს ორ-ორი გადასცა: — ეგრე ტკბილად დაბერდით შვილებო, მრავალი ახალწლის ბრწყინვალე დღია გაგიოთენდეთ!

თენგიზის დედამ თეფშზე გაამზადა ტკბილეული, სუფთა ხელსაწმენდში შეახვია და მშვენოს გაატანა სახლში დედისთვის.

მშვენო შინისკენ მიდიოდა იმედით გახარებული — რუსულ ენაში ნიშანს გავისწორებო. დედაც უკეთ დაუხვდა შინ და სიხარული გაუორკეცდა.

გრიგოლ მღვრჯიძე



ნახატი რ. სტურუასი

ძამიკო, გამოდი მადე!

ფიფქები, მსუბუქი ფიფქები,
დაჭქრიან, ცვივიან უხვად,
ესოს და მიღამოს ბარდნიან,
ბავშვებთან თამაში უუვართ.

მეც მიევარს ბაბუა-სამთარი,
იანურის ზირველი ფიფქით,
საღამოს—ბებიკოს სღაზარი,
ბუხარი, წიგნი და ფიქრი.

შესედე, სეები მორთულან.
ესოში გამოველ მარტო,
უპ, თოვლისკაცცივით ვთეთრდები,
ცხვირზეც და წამწამზეც მათოვს...

დაჭქრიან, მსუბუქი ფიფქები
და თოვლი მიჭრელებს თვალებს!
ციგაც მაქვს,
გუნდებიც ბლომად მაქვს, —
ძამიკო, გამოდი მადე!

ბავშვთა მრავალშვილი



ძია სანდრო

ძია სანდრო, მკლავებგარი ღურკალი
 ოსტატია მუდამ გამრევე, სანდო.
 მოლესილი უდევს უთში სანდროს:
 შალაშინი, ზირთხელი და რანდა.
 აი შეხეთ, მხარსე გადუკივია
 თოკგაბმული და კბილიბასრი ხერხი.

— სანდრო, წამო ქარსანაში ჩემთან,
 გავვიმართე იატაკი, ჭერი,
 ჩასვი ჩარჩო, ჩამოჭვიდე კარი,
 რომ მუშებმა ზამთარ-ზაფხულ, მუდამ
 გულდადებით შეასრულონ ვეკმა!

— შენ ვინა ხარ? — ეკითხება სანდრო.

— მე გახლავარ ქარსნის დირექტორი,
 უნახულებს თმაჭლარა კაცი.

— ვერა, ვერა, ძმაო დირექტორო,
 მე რუსთავედი მივიჩქარი ახლა!

— აბა, ჩემთან წამობრძანდი, სანდრო,
 ამიძენე საბძლები და ბუღლები,
 ფარდულები, ფერმის საქათმეები.
 მე სოფელმა დამავალა — ვამრავლო
 ჩვენი ხალხის სიმდიდრე და დოვლათი.

— ჩოსიანო, შენ ვინა ხარ? მითხარი.

— კოლმეურნე, გუთნისდედა უხადო.



სელუასს მოგვიყვით ფულად,
 შეძიძლია გაგისწორდეთ ღვინით,
 ჭარხახუღით, სორცით,
 კარტოფილით.


— ანა, ჩემო ძმაო, გუთნისდევდავ:
 ზატოსხან, მშრომელ გაცვად გხედავ,
 მაგრამ უნდა გაგაწმილო, რაუქნა!
 მე რუსთავში მივიწქარი ასლა!

— სანდრო, ძმაო, მე ვარ რკინიგზელი:
 ტყუარხელადან ნახშირის ვეზიდები,
 ბათუმიდან ვეზიდები ღვინოს,
 განსუთიდან — კარდანახულ ღვინოს,
 შირაქიდან მომქვს ღურჯი ნავთი,
 მესხეთიდან — სილი ათასგვარი...
 საქართველოს სოფლებიდან ქალაქად,
 საქართველოს ქალაქიდან სოფლად
 მე ვადაძეგვს უთვალავი მგზავრი.
 ვაგონები გაგვიგვით ბლომად,
 ჩვენთან წამო, ჩვენ თხტ-ტი გვინდა!

— რკინიგზელი, თქვენც იოლაღ
 წადით,
 დე, იმოვეთ ხელოსანი სხვაგან,
 და შევირდიც გაზარდეთ და გუაგდეთ,
 მე რუსთავში მივიწქარი ასლა!
 იქ, რუსთავში, მადლად ხარხარსე;

იქ ზგებენ უსარმასარ ბრძმედებს,
 იქ ზგებენ რკინის სადნობ ტყუარხელადან
 იქ ზგებენ კოქსის ბატარეებს
 და ფოლადის მარტენების ტყუებს...
 ბევრი თუჯი, ბევრი თუჯი გვჭირდება,
 სამშობლოში ჩვენი ხელით სადნობი!
 ბევრი რკინა, ბევრი რკინაც
 გვჭირდება,
 სამშობლოში ჩვენი ხელით ნაჭკვი!
 მტკიცე რვალიც გვინდა ბურაცხელი,
 სამშობლოში
 ჩვენი ხელით ნაწრობი!

გორის ჩხიპა
 ნახატები შალვა ცხადაძისა



САНТА-БАБА
И ДЕТЕТА





ახალი წელი დაგვიდგა!

პატარა შარინე კელიძეს

რა კარგი თოვლი მოსულა,
გათვრებულა მთა-ველი,
ვნავარდობთ, ვმღერით, ვიციხით,
ბევრი გვაქვს გასახარელი!

რა კარგი თოვლი მოსულა,
ციგები, აბა ციგები,
თოვლის ბაბუა გვალაღებს,
ვთამაშობთ და არ ვიღლებით.

მივდივართ, თან მოგვყვებიან
ციყვი, დათვი და მელია,

კურდღლებიც ჩვენთან არიან...
ხედავთ? ახალი წელია!

ნაძვები დათოვლილები,
თავს დაგვიხრიან კრძალვითა;
-- ბავშვებო, ცუგრუმლებო,
პა, ძველი წელიც წავიდა!

ახალი წელი დაგვიდგა,
წმინდა ვით თოვლის ფანტელი,
გილოცავთ ახალ წელიწადს,
გმოსავდეთ მისი ნათელი.

ალექო ხანაშელი



დათიკოსი და ნანას საახალწლო საჩუქრები

— დედა, დედიკო! — მზიარული ყვირილით შეირბინა დილით პატარა დათიკომ დედასთან: — დღეს ხომ ახალი წელიწადია, ყველაზე ადრე ბებიკოს უნდა მივულოცოთ და საჩუქრები წავულოთ.

— რასაკვირველია, ბებია ყველაზე უფროსია და პირველად იმას უნდა მივულოცოთ და საჩუქრებიც წავულოთ.

— მე და ნანამ უკვე ამოვარჩიეთ საჩუქრები. დედიკო, ვინც ძალიან, ძალიან გიყვარს, იმას ხომ ისეთი საჩუქარი უნდა მიართვა, რომელიც თვითონ ყველაზე უფრო მოგწონს.

— რასაკვირველია!

— ბებიკოს ხომ ყველაზე მეტად ჩვენ ვუყვარვართ და ამიტომ იმასაც ის უყვარს, რაც ჩვენ გვიყვარს.

დედას გაეცინა. მან წარმოიდგინა მოხუცი, მთლად თმათეთრი ბე-

ბიკო, რომელსაც ფეხები სტკიოდა და სიარული უჭირდა. მის პატარებს კი სირბილი და ბურთის თამაში უყვარდათ. დედამ გაიფიქრა: „უთუოდ ბურთს წაუღებენ ბებიასო“, და ჰკითხა:

— აბა, რა საჩუქარი ამოარჩიეთ?!

— რასაც წავუღებთ, არავინ არ უნდა იცოდეს, მოულოდნელად უნდა მივუტანოთ.

— ძალიან კარგი, მაგრამ ნანა სადღაა?

— მეც მზად მაქვს, მეც, — მიირბინა ნანამ.

დედა მოეხვია თავის გოგონას და ბიკოს, მერე უთხრა:

— მაშ, აბა, ჩაიცვით და წადით, ჩემგან კი ეს ნამცხვარი მიართვით. ბავშვები გაიქცენ.

მოხუცი ბებო ლოგინში იწვა. ფეხები სტკიოდა, ბევრი ეცადა, მაგრამ დღესაც ვერ აღგა, რომ ბავშვებს ახალწელიწადს დახვედროდა.

ლოცებგაწითლებულნი, მხიარულნი და დათოვლილნი შეეკარდნენ დათიკო და ნანა ბებიასთან.

— ჩვენო საყვარელო ბებიკო, — შესძახეს ერთხმად, — მოგილოცავთ ახალ წელიწადს!

ნანამ სწრაფად გახსნა შეხვეული საჩუქარი და უთხრა:

— ბებიკო, აჰა, ჩემი ყველაზე უკეთესი დედოფალა — ქალთამაზე. ვიცი გაგხარდება, ბებიკო, და ამიტომ გაჩუქე საახალწლოდ. შენი იყოს. თვალებს ხუჭავს, ჯდება. შენ ხომ დედოფალა არა გყავს? ახლა აღარ მოგწყინდება. — და მან ბებოს ბალიშზე ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი დიდი დედოფალა დაუდვა.

— რა მშვენიერია! — სთქვა გახარებულმა ბებიკომ.

ნანას უნდოდა ეკოცნა ბებიკოსათვის.

— დაიცა, ნანა, ერთად ვაკოცოთ! — წამოიძახა დათიკომ და შეაგორა კარებს უკან დატოვებული ველოსიპედი. — ბებიკო, ხომ მოგწონს ჩემი ველოსიპედი? ჩვენს საბა-

ვშვო ბაღში ყველას მოსწონს. ისეთი კარგია, ზედ რომ დაეცემა, მოატრიალებ ამ სახელურს და ვაითაც გინდა წაგიყვანს. სულ არ არის ძნელი, ბებიკო, მე გასწავლი, არ წაიქცევი. ხომ გაგიხარდა, ბებიკო?

— ოჰ, რა მშვენიერი საჩუქარია. ჩემთვის ასეთი რამეები არავის არ უჩუქებია. როგორ გამახარეთ, ჩემო კარგებო!

და ბებომ და ბავშვებმა ერთმანეთი გადაჰკოცნეს. ბებომ იქვე მაგიდიდან გადმოიღო და ბავშვებს ძიართვა თითო მშვენიერი ნახატებიანი წიგნი და თითო ლამაზი კოლოფი შოკოლადი.

— წიგნი! — აღტაცებით შესძახეს ნანამ და დათიკომ, გადაშალეს და სიხარულით შეჰყვირეს: — ჩვენ სწორედ ამისთანა წიგნი გვინდოდა, ბებიკო. — მერე საჩქაროდ გახსნეს შოკოლადი და პირში ჩაიდეს.

ბებო სიყვარულით იხუტებდა გულში პატარა ნანას და დათიკოს და ღიმილით შესცქეროდა მათ საჩუქრებს.

ნინო ნაპაშიძე
ნახ. გ. ჩირინაშვილისა

ზ ა მ თ ა რ ი

ტუის სიმწვანე სად წასულა,
ჩიტუნები სად არიან?

თოვლი მოდის, ქაწი სწივის:
„სამთარია! სამთარია!“

შესე ჰეჭლებს,
ფრთათეთრ ჰეჭლებს,
სეებს ირკვლივ ველებიან,
ეს თოვლია, თოვლი მოდის,

განა მართლა ჰეჭლებია!
ეს სამთარი მობრძანდება
თეთრწყურა და თაჭაღარა,
გუნდამ, ციკამ,
თოვლისკაცმა —
ვევლამ ერთად კამასწარა.

ბა. გულ აბაშიძე

მამიდა თეოს მარანა



— მამიდა, სად მიდიხარ სანთლით და კატით?— შეეკითხა მამიდა თეოს პატარა ნიკო.

— ამაღამ კატა მარანში მინდა დავემწყედო! — უხასუხა მამიდამ.

— რა დააშავე, ჩემო ფისო, რომ მარანში გიპირებენ დამწყედევას? — მივალერსა ფისუნის ნიკო.

— მთელ ღამეს მარანში თავგები დარბიან, ეს კი არხეინად თვლემს აქ ბუხრის პირას.

მამიდამ კაბის კალთა აიწია, ღრმა ჯიბიდან რგოლზე ასხმული გასაღებები ამოიღო, ყველაზე დიდი გასაღები ააჩრია და მარანის კარი გააღო. მარანიდან სიგრილემ და რაღაც საამურმა სურნელებამ დაჰბერა.

ნიკოს ძალიან უყვარდა მარანი. რა არ ინახებოდა ამ მარანში? რაც კი გააჩნდა მამიდა თეოს, ყველაფერი იქ იყო თავმოყრილი.

მამიდა თეოს ყველაზე მეტად პურის კიღობანი უყვარდა. ეს კიღობანი მისი სიამაყე იყო.

— აი, ნიკო, ეს კიღობანი საშვილიშვილოდ არის ნაგები! შეხედე, როგორ მოხარატებულია, ერთი ლურსმანიც არა აქვს დაკრული!

ნიკოსაც უყვარდა კიღობანი. იქ, ტუბილი ნახუქების გარდა, შემოდგომაზე ჩურჩხელებიც ინახებოდა.

— აბა, ნიკო, დასვი კატა და ეკალას წნილი ამომალებინე! — მიმართა მამიდამ პატარას.

მამიდამ წნილი ამოიღო.

— ახლა წაივადეთ, შვილო, — უთხრა მამიდამ თავის ძმისწულს, მაგრამ ნიკოს სრულებით არ ეჩქარებოდა.

— შე კიდევ მინდა მარანში ყოფნა, აქ კარგი პაერია, — და ბავშვმა ხარბად შეისუნთქა მარანის პაერი.

— ვიცი, შენ რაც ვინდა! — ჩაიციხა მამიდამ და ხელი ჩაყო ჩანგალზე ჩამოკიდებულ ძველებურ ხურჯინში. ამ ხურჯინის თვალში ცოტაოდენი წაბლი ეგულებოდა. მამიდა თეომ რომ ხელი ჩაყო, წაბლი ხურჯინიდან იატაკზე დაცვივდა.

— უი, დამიდგეს თვალეები! რა მშვენიერი ხურჯინი დაუქრიათ წვეულ თავგებს! — შეწუხდა მამიდა.



როგორც კი დაიკეტა მარნის კარი და მიწყდა მამიდა თეოს და მისი მისწულის ფეხის ხმა, მარანში გაისმა მარანში რი, ფხაკუნ და შრიალი, კატამ ყურები სცქვიტა.

უეცრად თაროზე, სადაც თიხის ჭურჭელი ელადა, რაღაც შეიჩხა და ლობიოს ქოთნის შიშველ სარქველი ძირს გადმოვარდა, მიწაზე გაგორდა, და სწორედ კატის ცხვირწინ შევარდა.

— რა ტლანქი და ამპარტავანი ხარ, ლობიოს ქოთანი. აბა, რა ჩემი ბრალია, თუ მამიდა თეომ შენს თავზე დამახურა! — სთქვა სარქველმა.

— მე შირჩევნია პირქვედამზობილი ვიყო, ვიდრე შენ მდგე თავზე, — ბუზღუნებდა ლობიოს ქოთანი, — უჰ! — ძლივს ამოვისუნთქე! რა იცი შენ, უშნო სარქველო, რომ მე მთელ ოჯახს ვაჭყვე. რამდენჯერ გამიგონია მამიდა თეოსაგან: რა ბარაქიანია ეს ქოთანი, ყველას გასწედება ზოლზე, თანაც გემრიელზე

გემრიელი ლობიო იცისო. შენისთანა სარქველს, ჩემო ძამიავ, რამდენსაც მინდა გამოვიცულო.

— აბა, ეგ რა სათქმელია: შენ მეოთხე ქოთანი ხარ, რომელსაც მე ვემსახურები.

— რაო? ვემსახურებო? შენმა თავის გახეთქამ! განა მემსახურები, თავზე მანძირა, ვესმის თუ არა?

გვერდზე მდგომმა მაწვნის ქილამ გულიანად გაიციხა. მის თავზე დედაბერი მუდამ ცივ ტილოს ადებდა, რაც საამოდ აგრილებდა. ამიტომ იყო მუდამ გულგრილი.

— კეს! კეს! კეს! როგორ არ მოგებზრდა, დღენიდაგ ერთი და იგივეს კვებნა, შენ თუ გემრიელ ლობიოს ხარშავ, ჩვენ გემრიელ და კობტა ჭადებს ვაცხოვობ. აბა, უჭადოდ რა გემო ექნება შენს მოხარშულ ლობიოს. — აყაყანდნენ კეცები.

— თუ კობტა ჭადებს ვაცხოვობ, ეგ იმიტომ, რომ ჩემზე აგუნდავებს და აბრტყელებს იმ ჭადებს მამიდა თეო, — შეტრიალდა კედელზე დაკიდებული ორომი.

— ახლა კი დაიწყო ორომტრიალი! — აჩიფჩიფდა ძველი, ჭრელი ბურჯინი.

— აი ვკითხობთ ჩვენს მსკოვან ბურჯინს: ქვეყანა უნახავს, ჩვენსავით ცეცხლში არ არის ჩამწვარი, — გამჭონდათ ტაცა-ტაცუო კეცებს.


ბურჯინი იმიტომ ჩიფჩიფებდა, რომ პირი დიდი ჰქონდა, კბილი კი არც ერთი. გაუთავებელი ლაპარაკი იმიტომ იცოდა, რომ ორი პირი ჰქონდა, ერთი რომ დაიღლებოდა, მეორეს მოხსნიდა და ახლა ის ლაპარაკობდა.

თუ არაჩვეულებრივ რამეს ნახავდა ბურჯინი, მაშინ პირის მოკვრაც არ შეელოდა, ორივე პირი ერთდროულად ლაპარაკობდა.

(გაგრძელება იქნება)

მარიკანი

ნახატები ანდრო კანდელაკისა



7054



ასე ტყვილად დამიბურდი!

დედა გოზინაყს ამზადებს. კერასთან ფუსფუსებს. უცეცხლო თაფლი სპილენძის-განიერ თასში ჩასწურა და ცეცხლზე შემოდგა. თაფლი ჯერ გადნა, შემდეგ აღულდა. აი თხზად დაქრილი ნიგოზიც ჩააყარა დედამ მღულღარე თაფლს და ახლა კოვზით ურევს, რომ გოზინაყს ძირი არ მოეწვას.

ცაგო კერასთან ზის, სამფეხა სკამზე. ფისო ფანჯრის რაფაზე დასკუებულა.

ბიჭუნა გოზინაყს დასცქერის, ნერწყვს ელაპავს. ხანდახან ძილი დასძლევის, წასთელენს, მაგრამ თავს იკავებს: გოზინაყის დამზადებას ელოდება. ფისო თვალმდამწკრიული თვალს ადევნებს ოჯახში ატეხილ ფუსფუსს. სულ პატარაა ცინდალი ფისო, ახალწელს პირველად ესწრება. ნესტოებში უღლიტინებს მოხარშული გოჭისა და გოზინაყის სუნს. თავგები სულ გადააიწყდა. ცაგოც პატარაა, სულ პატარა, ნამცეცა. აღარ ახსოვს შარშანდელი ახალი წლის ღამე.

დედამ გადახედა მივლემარე ცაგოს და აღერსით უთხრა:

— ცაგო, დაწეკი, შეილო, ძილის დროა...

— არა, დედი... ცოტა, ცოტა, ხანიც...

დედამ იცის, რასაც ელოდება ცაგო. იღიმება, ჰკოცნის პატარა ცუგრუმელას.

— გოზინაყს დილიზე გაქმევე... დაგობერება...

— რად უნდა დამაბერო, დედა? — გკითხება ცაგო.

მაგრამ საკუქნაოდან დედას დიდიდედა ეძახის. დედა ცხელ გოზინაყს მაგიდაზე დადგამს და კარს მიამურებს.

— ახლავე შემოვალ, შეილო, — ამბობს ის და გარეთ გადის.



ცაგო გოზინაყს უთვალთვალეგებს. ხელი მისკენ გაურბის, მაგრამ ფისო ასწრებს: ფანჯრის რაფიდან ისულებს, მაგიდაზე გადასტეა და ცხელ გოზინაყში ცხვირს ჩაჭყოფს. დიდი ნახტომი მოუვიდა ფისოს. უნდოდა შოლოდ დაესუნა გოზინაყი. დღეს პირველად დინახა ეს უცნაური საკუნელი, — გოზინაყი ცხელია, ქაქუაფა, ფისოს ტუჩები ეფუფქება, დაიჩხვლეებს და ფაცხა-ფუსხით გარეთ გაიძურწება.

ცაგო ხელს უკან ვასწევს. ეშინია. დინახა გამწარებული ფისო. დედა იგვიანებს. ცაგოს ეძინება.

გათენებულა. ახალწლის დღია გათენებულა. დედა ცაგოს აღვიძებს. თვალეზში ჰყოცნის. ხელში გოზინაყი უჭირავს.

— ასე ტბილად დამიბერდი, შვილო ასე ტბილად!

— არ მინდა, დედა, არ მინდა! — ბურტყუნებს ნამძინარევი ბიჭუნა.

— რატომ, შვილო, შეჭამე, ნახე, რა ტბილია.

— ვიცი, ვიცი, ცხელია — ირიდებს

გოზინაყს ცაგო.

— არა, შვილო, აი ნახე... უკრძანებულნი
— არ მინდა... ფისოს ტუჩებზე... ცხელია...

დედა იცინის. ჯერ თვითონ სკვამს გოზინაყს. სიამოვნებით იქნევს თავს აქეთ-იქით. ცაგო ბედავს, სკვამს გოზინაყს. რა გემრიელია! ტუჩები არ ეწვის ფისოსავით. იქნებ სიხარში ნახა ფისოს მუსნავობა. იცინის. კმაყოფილია.

რა კარგი ყოფილა ახალწლის დღია, რა ბედნიერი! წუხელის თოვლი მოსულა. ახალი, სპეტაკი თოვლით გადაპენტილა არე-მარე. ყველგან სიხარულია. ზოგი ჩურჩხელას აწევის ცაგოს, ზოგი თაფლივით ტკბილ ლეღვისსირს. ყველა უღიმის ულოცავს და ეუბნება:

— ცაგო, მოგვილოცავს ახალი წელი!

— ცაგო, ასე ტბილად დამიბერდი, ასე ტბილად!

ცაგოს უხარია. კარგი ყოფილა ახალი წელი. ალბათ, სიბერეც მასავით ტბილია!

გ. შაგაბერაშვილი

ნახატი გ. გულუხიაშვილისა

რა დააშავა პატარა ჯექმა?!

აეტო უცებ შედგა, კარი გაიღო და ათი-თორმეტი წლის ჩასუტებული ბავშვი გადმოვიდა. იგი სწრაფად მიიქრა პატარა ხანგ ბიჭთან, რომელმაც დამფრთხალი, აცრემლებული თვალეზით შეხედა, და მრისხანედ შექძახა:

— არაშადავ! — მის მრგვალ სახეზე დაქვეტილი თვალეზი ზიზღს უფრო გამოხატავდნენ, ვიდრე მრისხანებას.

ხანგი ბიჭის დიდრონ, კევიან თვალეზში შიშოვ გამოიხატებოდა და მწუხარებაც. თავი მორჩილად დაეხარა და აართო-ლებებული ლულულულებდა:

შაბატით სერ!) ვერ მოვასწარი, ძია ტომთან ვიყავი, იმან შამი-ჩემის დაღუპვის

ამბავი ჩამოიტანა ფრონტიდან... შინ მერქარებოდა, დედა აუად არის..

აეტოდან გადმოვიდა ბავშვის მამა, მაღალი „ჯენტლმენი“). იგი კმაყოფილი შეგყურებდა შვილს. ასეთი გამომეტყველება აქვს მონადირეს, როდესაც მისი დაგეშილი ნავაზი პირველად დაიჭერს კურდღელს.

ჯექმა მოინდომა, ფეხზე ეკოცნა ბიჭისათვის. მაგრამ ბიჭმა დაასწრო და რაც ძალა და ღონე ჰქონდა ფეხი ცხვირში ამოჭყრა. ჯექმა დაიუნესა, ცხვირიდან სისხლი წასცადა.

— როგორ გაბედე, არაშადავ! — კვლავ შეგყვირა ბიჭმა და შეგროვილ

1. სერ — ბატონო

2. ჯენტლმენი — კეთილშობილი



ხალხს გადახედა: მოწონებისა და შექცების შეძახილებს ელოდა, ბრბომ არ დააყოვნა, სხვადასხვა მხრიდან გაისმა:

- ყოჩაღ, ყოჩაღ, პატარა ბიჭუნავ!
- იცის თავისი ფასი!

პატარა თეთრკანიანმა ბიჭმა კვლავ წაპკრა ფეხი. ვიღაცამ ცარიელი ბოთლი ესროლა.

— მაშ რა ეგონა? ახლა კუკუას ისწავლის!—არობროხნდა ერთი ჩასუქებული კაცი და სისხლიანი თვალები ბრბოს გადააველა.

— დიხ, მართალს ბრძანებთ.—მოუწონა მას სიტყვა მედიდურმა ქალმა, — კუკუა უნდა ვასწავლოთ მავათ. გუშინაც ჩემმა ზანგმა ბიჭმა...

დედაკაცის სიტყვით გამხნეებულმა რამდენიმე თეთრკანიანმა ბიჭმა კიდევ ჩასცხრა ფეხი ჯეკს — „კუკუა ასწავლეს“ პატარას. არც ერთ მათგანს საჭიროდ არ მიუჩნევია ეკოთხა: რა დააშავა ზანგმა ბიჭმა.

ბრბო დაიშალა. ბევრი იმედგაცრუებული დარჩა, რომ უფრო საინტერესო

სანახაობას ვერ უყურა; ჯეკი უფროდ ეგდო, სიკოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.



დედა დიდხანს ელოდა შეიღოს. სიციხით პირგამშრალი ხშირად წამოიძახებდა ხოლმე:


- ჯეკ, წყალი, შეილო!

სალამოთი ნაცემმა და სისომიხილმა ჯეკმა ნელა შეაღო კარები და დედასთან მიღსალასდა. თვალები გამომშრალი ჰქონდა, თავი — დამძიმებული. ცდილობდა ისე დაეკერა თავი, რომ დედა ვერ მიხვდარიყო, რაც გადახდა. დედა მინც მიუხედა. შეილი გულში ჩაიკრა, ხუჭუტა თმაზე ხელი ილერსით გადაუსვა.

— ვიცი, ჩემო ბიჭუნა, მიგზვდი, მაშინ ამბავიც გამაგებინეს. მან სიკოცხლე გასწერა ფაშისტებთან ომში, იმ იმედით, რომ შენ აქ ბედნიერი ყოფილიყავი. და აი... ცრემლმა აღარ აცალა. სიტყვა გაუწყვიტა.

ეს მოხდა 1945 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ პატარა ქალაქში. მაგრამ რა დააშავა საბრალო ჯეკმა? მან ვერ მოასწრო და პატარა თეთრ ჯენტლმენს, რომელიც ავტოთი მიჰქროდა, მორჩილების ნიშნად თავი ვერ დაუხარა.

პახანან ჭაღიძე
ნახატი გ. გულახაშვილისა



არჩილი სკოლაში მიდიოდა. ფანჯრიდან, სახურავს ქვემოთ მკვდარი ბელურა დინახა: ძაფით ეკიდა და ქარი აქანავებდა.

— საწყალი, მომკვდარა! — შეიბრალა არჩილმა.

დედამ შვილის თხოვნით კიბე მიიტანა და ბელურა ჩამოხსნა.

— ეს ხომ ჩემი ბელურაა, მე და ლალიმ კვირას დავიჭირეთ და ძაფი მოვებით, მერე გაგვიფრინდა!

— რას ეროდი მაგ საცოდაეს! — უთხრა საყვედურით დედამ, ბელურა მა-

გიდახე დასდო, შემდეგ წიგნების ჩანთა/ მისცა არჩილს და ჰკითხა:

— დღეისათვის რომ მოთხრობდი, წაელე, ანდახით მთავრდება, ხომ გახსოვს?

— მახსოვს: „კარგი ჰქენი, ქვანე დასდე, გაიარე, წინ დაგზებდებო“.

— მაგრამ, არჩილ, თუ ამგვარ ეულ საქმეს ჩაიდენ, მაშინ?

არჩილმა მკვდარ ბელურას დაჰხედა და თვალები ცრემლებით აფესო.

დავით შავთაია



კარმიდამო დათოვლილა

მატყლის თეთრი საბანივით
მიწას თოვლი ეხურება,
კარმიდამო დათოვლილა,
მოიწყინეს ბელურებმა,
წამთრის ქარი, ცვი ქარი
არ, ისვენებს დადღურს უვლის,
თინას ნაძვი კი ამაყად
დგას, ნობათით დაუნძღვლი.
დგას ოთახში მოკაწმული,
მას არ აკლებს ზრუნვას თინა,
ტკბილეული, ხილეული
მიხთვის რა არ გააჩინა!
თინა თავის მგვობრებით
მის გარშემო ფერხულს მართავს,
მზიარული სიმღერებით
გულს უკლავენ კვიშატ წამოთარს.

ვახტანგ ძნელიძე

მანუჩისმგებელი რედაქტორი რიშა შაჰინი

სარედ-ქკოი კოლფოვა: შრ- აბაშიძე მკობრაინე ბუკჯანაძე, იოსებ ზარიშავილი, ილია სიხარულიძე, თინათინ თუმანიშვილი, მავალა მკავლიშვილი, ნატალა უნაშკოშვილი, შალვა ცხადაძე.

ნაძვის ხის ნათქვამი

შორი გვიდან,
შორი ტვიდან,
დათოვლილი მწვანე ტოტით,
მხოლოდ მისკენ ვიჩქაროდი,
მხოლოდ მისკენ ვისწრაფოდი, —
ვინც დედამა ასასვლა
და გულს ვარდი მოაფინა,
ვინც სკოლიდან სახალაწლოდ
სულ „ხუთები“ მოაფრინა,
ვინც ზრდილია შინ და გარეთ
ჩემი მოსვლაც მას უხარის —
მისთვის მომაქვს ათასფერი
სახალაწლო სანუქარი.

მუდამან ლაბანიძე
ნახატი რ. სტურუახი



გორეჯიანის პირველი გვერდის მხატვრობა ს. გაბაშვილისა

344. №1775. 31.12.1975. СССР

„ДИЛЛ“ - ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ (на грузинском языке)
განმაცემლობა „კომუნისტა“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28 1 საბო ფოსტ. 3-81-65
განმაცემლობის შეფ. № 3 სტამბის შეფ. № 83 ტირაჟი 7000 ფასი 5 მან. უფ. 01028